საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

სამშაბათი, 24 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 25 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 25

„ფინანსიური არისტოკრატია თავისი სიმდიდრის მოხვეჭის ხერხ-წესით და თავისი ფუფუნება-განცხრომით წარმოადგენს ბიისიკურ პროლეტარიატის აღორძინებას ბურჟუაზიული საზოგადოების ზემო სართულებში".

კ. მარქსი. კლასთა ბრძოლა საფრანგეთში.

## პოლონეთის პროლეტარიატი

მსოფლიო ომის დაწყებიდან პოლონეთის პროლეტარიატი მეტათ მძიმე პირობებში მოექცა. მან სრულიად ვეღარ გამოიჩინა თავისი კლასობრივი სახე და აუტანელი სიმწვავით განიცადა მისი მოსისხლე მტრების გამათახსირებელი გავლენა.

ეს მოვლენა მით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ამ დრომდე ინტერნაციონალის რაზმის შორის პოლონეთის პროლეტარიატი მუდამ წინა რიგებში იდგა. მას აქეთ, რაც დაიწყო მასიური გმირული ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატისა, მისი პოლონელი მოძმე მუდამ განსაკუთრებული ენერგიით და აქტივობით აჩნევდა თავის ძლიერ გავლენას მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1905 წლის რევოლიუციაში პოლონეთის პროლეტარიატს საპატიო ალაგი უკავია.

მაგრამ დაიწყო მსოფლიო ომის და მთელი მისი ნძაფრი შედეგები რისხვათ დაატყდა თავს პოლონეთის პროლეტარიატს. ის ტერიტორიალურათ და ეროვნულათ მოექცა სამი სხვა და სხვა სახელმწიფოს და ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კოალიციის საზღვრებში. ავსტრია, გერმანია, რუსეთი — აი ვის საზღვრებში იყო მისი სხვა და სხვა ნაწილები გაბნეული; გერმანია—ავსტრიის კოალიცია და რუსეთ-საფრანგეთის კოალიცაა—აი ვის სასარგებლოდ და იმავე დროს საწინააღმდეგოთ უნდა ეღვარა მას სისხლი.

მისი სხვა და სხვა ნაწილებისათვის მეტათ მძიმე აღმოჩნდა ბრძოლა თავთავის სახელმწიფოს გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ იმპერიალისტური ომი გადაექცია სამოქალაქო ომათ. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდა მთელი მეორე ინტერნაციონალისთვის, რისთვისაც ის ასე სამარცხვინოთ დაიღუპა. თუ კი სახელგანთქმულმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ყურებამდე ჩაიყურყუმელა ნაციონალისტური შხამით მოწამლულ ჭაობში და თავის ბურჟუაზიას ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რა უნდა ექნა პოლონეთის პროლეტარიატს, როდესაც შექმნილ პირობებში ყოველი მისი ბრძოლა მოწინააღმდეგის მიერ წინდაწინ ფასდებოდა როგორც ნაციონალისტური მიზნით წარმოებული და უსასტიკესად იდევნებოდა, როგორც „სამშობლოს" ღალატი. ამავე დროს, სამივე დაინტერესებული სახელმწიფო უდიდესი პირმოთნეობით ელოლიავებოდენ და გაკეთებას პირდებოდენ მთელ პოლონეთის ერს და ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდენ შოვინისტურ გრძნობათა გაღვივებას.

ასეთ პირობებში ისეთი სასწაული რომ მომხდარიყო, რომ მეორე ინტერნაციონალი ერთგულათ შერჩენოდა პროლეტარიატის პოზიციას და აქტიურათ ეწარმოებინა ომი ომის წინააღმდეგ მსოფლიო რევოლიუციის ლოზუნგით, მაშინაც განსაკუთრებული ზრუნვა და ზომები იყო საჭირო, რომ პოლონეთის პროლეტარიატი, ირგვლივ შინაური და გარეშე უთვალავ მტრებისგან გარშემორტყმული, არ გადასცდენოდა პროლეტარიატის პოზიციას და არ გამოსთიშოდა თავის კლასობრივ ბანაკს. ხოლო როდესაც მეორე ინტერნაციონალი და მასში შემავალი უკეთეს პირობებში მყოფი და დიდი გამოცდილებით აღჭურვილი სოციალისტური პარტიები გაკოტრდენ, პოლონეთის პროლეტარიატი, თავის ძალების ამარა მიტოვებული, კლასობრივათ დაქვეითთდა და თავისი მტრების სათამაშო შეიქნა.

ყველა იმპერიალისტურმა ძალებმა ხშირათ მოაჯირგალეს პოლონეთი და დაუხშეს მის პროლეტარიატს შეძლება საერთაშორისო მუშათა კლასთან ურთიერთობისა. მისი საგრძნობელი ნაწილი მთლათ დაემონა პილსუდსკებს და დაშინსკებს —ამ პოლონელ მენშევიკებს— და ამის წყალობით ის ხერხიანათ იქმა გამოყენებული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, როგორც „ზარბაზნის ხორცი". პოლონელ თეთრ-გვარდიელებთან ერთათ საბჭოთა რუსეთს თავს ესხმოდა პოლონელი პროლეტარებიც.

მაგრამ რუსეთის წითელმა ჯარმა დაანგრია პოლონეთის ძლიერება და მით უეჭველია, დიდათ დააზიანა მისი პროლეტარიატის ნაციონალისტური სულის კვეთება.

რუსეთ-პოლონეთის ომმა სააშკარაოზე გამოიტანა წვრილ-ბურჟუაზიული დამქაშები ანტანტისა და ცხად-ყო მთეთი მათი გაიძვერულ-მოღალატური ბუნება. ევროპის პროლეტარიატმა ხმა-მაღლა დაგმო იარაღის ჩხარუნი პოლონეთის ძხრით და წინ გადაეღობა თავის იმპერიალისტთა მისწრაფებას—მეომარ პოლონეთისათვის იარაღის მიწოდებას. პოლონელი სოციალ-შოვინისტები აშკარათ აქეზებდენ პოლონელ მუშებს და გლეხებს ამ ომის სასარგებლოთ და საყვედურითაც კი მიმართეს ევროპის პროლეტარიატს—რატომ გვიშლით ხელს ასეთი სანაქებო ომის წარმოებაშიო.

დაიმსხვრა პილსუდსკის ლაშქარი, გამოაშკარავდა დაშინსკების მოღალატური მოქმედება და ამით პოლონეთის პროლეტარიატი ეგოდენ მსხვერპლის შემდეგ კვლავ უბრუნდება ინტერნაციონალს, მაგრამ არა მომკვდარს, არამედ თავდადებულ მებრძოლს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებისათვის—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

პოლონეთის პროლეტარიატი დამაკავშირებელი რგოლია ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მას კვლავ მოუწევს შეასრულოს დიადი როლი პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეში. და იმ დროს როდესაც საბჭოთა ძალები უწყალოთ ანგრევენ პოლონელ მებატონეთა ფუძეს, მას პოლონეთის პროლეტარიატის მიმართ ეს ლოზუნგი აქვს: გაუმარჯოს პოლონეთის პროლეტარიატს!

## რევოლუცია და ულუფა.

I.

ჩვეულებრივი, კბილის მომ.ჭვეთი წამოძახილი ქართველ მენშევიკების ლიტერატურების, ორატორების თუ დამფუძნებელ-კანონმდებლების ასეთია: ჩვენში ნამდვილი სამოთხეა საბჭოთა რუსეთთან შედარებით, ჩვენი მუშები შეუდარებლათ უკეთ ცხოვრობენ და გაცილებით უზრუნველყოფილი არიან ყველაფრით, ვიდრე რუსეთის პროლეტარიატი, რომელსაც „კუჭი უხმება" შიმშილისგანო!

ფიქრობენ და სხვისი დარწმუნება უნდათ, რომ ეს არის არა იაფფასიანი გახუნებული ბაზრული სადემაგოგიო მასალა, არამედ უტყუარი, ობიქტიური საზომი და მაჩვენებელი მათი „დემოკრატიული" პოლიტიკის უპირატესობის კლასიური ბრძოლის და პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკასთან შედარებით, მაჩვენებელი მათი უძირო და უნაპირო სიბრძნის, რომლის წყალობით საქართველო ვითომ გადარჩა სამოქალაქო ომს და მუშათა კლასიც მაძღარი და დათბუნებულია.

ვის შეუძლია ასე საკითხის დაყენება? ვის შეუძლია მოწინავე პოზიციებზე მებრძოლს, საკუთარი სისხლის მღვრელს და ათასგვარ გაჭირვების და წვალების გადამტანს შორიდან მიაძახოს: რას იჭირებ საქმეს, მიანებე თავი დავიდარაბას, შემომხედე რა ჩინებულათ შევექცევი ნოყიერ საჭმელს და თბილ საბნის ქვეშ ვგორავ?! რასაკვირველია არა რევოლიუციონური პროლეტარიატის მებაირახტრეს, არც ჭეშმარიტ დემოკრატს. ვის შეეფერება კაპიტალისტის წინააღმდეგ გაფიცულ პროლეტარების მიმართ ღაღადისი: რას ამშევთ თავის თავს, რას აწამებთ თქვენს ცოლშვილს? აი შემომხედეთ მე, კაპიტალის მონა-მორჩილს, ვჯერდები ყოველდღიურ ლუკმას და უდავიდარაბო ცხოვრებ..! რაღა თქმა უნდა არა პროლეტარიატის საქმისთვის თავდადებულს, არამედ თავიდან ფეხებამდე გამეშჩანებულ „სოციალისტს" და დემოკრატს, რომელსაც სოციალიზმი კანს ქვემოთ არ გაჯდომია ძვალრბილში, რომლის „სიწითლე" თვისბოლოკის კანივით თეთრ გულს აფარია გარედან.

ასეთ მეშჩანისათვის სოციალიზმი და მის მოსაპოვებელი რევოლიუცია ბრძოლა კი არ არის, გაჭირვებით, წამებით, ზიმშილით და სხვა ათასგვარი თანამგზავრებით, არამედ მზამზარეული გაწყობილი სუფთა, რომელსაც უნდა მოუჯდე მხოლოდ და დატკბე „სიმდიდრეში თანასწორობით".

ცხოვრების მკაცრმა გამოცდილებამ კ. მარქსს ათქმევინა მუშებისათვის 50-ან წლებში: „თქვენ უნდა განიცადოთ 15,20,50 წელიწადი სამოქალაქო ომების და ხალხთა შეხლა-შემოხლების, რათა გარდაქმნათ საზოგადოებრივი წყობილება და თითონაც გარდაიქმნათ". მამულიშვილი სოციალისტი კი ღმერთს მადლობას შესწირავს, რომ მან შეაძლებინა სამოქალაქო კლასობრივ ომიდან სამშვიდობოზე გაძვრენა და არსობის პურიც არ მოაკლო, როგორც გაუგებარი ჟინით შეპყრობილ რუსეთის პროლეტარიატს

ეს რევოლიუციისაგან სრულიად განდგომილთა ლოცვა-ვედრებაა, რასაც ზიზღით უკუაგდებდა ყოველი რევოლიუციონერი ყოველთვის და ყოველგან, სადაც კი რევოლიუციონურ გრიგალს ზადაუვლია. რეაქციის მიერ ალყა შემორტყმული პარიჟელები ვირთაგვებსაც სჭამდენ, როცა დანარჩენი საფრანგეთის და მით უმეტეს დანარჩენი ევროპის მეშჩანობა და მუშებიც ჩვეულებრივი ლუკმით უზრუნველყოფილი იყვენ. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ პარიჟის კომუნისტები რევოლიუციის ალში იყვენ გახვეული და მით გამურული, ხოლო პარიჟის გარემო ქვეყანა მეშჩანური კეთილდღეობით, პოლიციური წესიერების სიკეთეებით იყო მაძღარი და რეაქციის თბილ ოხშივარში თვლემდა. კომუნისტები, მარქსის სიტყვით, რევოლიუციონურ აღტყინებაში თვით ზეცას უშენდენ ყუმბარებს, მათი საკაცობრიო მიზნის სიმაღლე უადვილებდა მათ დამშევის ფიზიკურ წვალების ატანას რაიც მეორე და მესამე ხარისხოვან საქმედ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს.

უეჭველია, შუაგულ სპარსეთში თუ შორეულ გოტენტოტების სამფლობელოში, სადაც არ დაცვენილა რევოლიუციის ნაპერწკლები და სადაც წესიერების ჭაობი არ შეურხევია რევოლიუციის ქარიშხალს, დღეს მშრომელნი და მთელი მოსახლეობაც უკეთ არიან უზრუნველყოფილნი თავის ჩვეულებრივი ულუფით, ვინემ რუსეთის მშრომელი პროლეტარიატი. მარა რა წამს იქ იფეთქებს აჯანყება მსოფლიო ყაჩაღების წინააღმდეგ, რა საათს შეეცდებიან იქ იმპერიალიზმის უღლის გადადგდებას, იმ წამსვე იგემებენ ბლოკადის და პირდაპირი ძალადობის ყველა შემმუსვრელ ისრების სიმწვავეს, იმ წამსვე მათ დაეპატრონება ცხოველური შიმშილი. ობიექტური სინამდვილე დღევანდელ ბურჟუაზიულ იმპერიალისტური ქვეყნიერებას უეჭველს ყოფს, რომ „წესიერება" შედარებითი სიმაძღრის მომასწავებელია, ხოლო „ბუნტობა" და რევოლიუციის გაჩაღება—შედარებითი დამშევას, ფიზიკური ტანჯვა-წვალებას.

რევოლიუციას აუცილებლად თან სდევს რამოდენიმეთ საწარმოვო ძალთა განადგურება, სიმდიდრის შემცირება. ოთხი წლის იმპერიალისტური ომის შემდეგ, როცა განიავებული შეიქნა მსოფლიოს მატერიალური დოვლათი ეს გალატაკება სტიქიური პროცესის აუცილებლობით სწარმოებს იქ, სადაც ხალხის მასსები წელში იმართებიან და უუმძიმეს უღელს იგდებენ კისრიდან და ამტვრევენ, შიმშილით შიმშილის დათურგვნას აწარმოებენ. გამძღებული იმპერიალიზმი სარგებლობს თავისი ძლიერებით და ჯოჯოხეთური ბლოკადის რკალით ერტყმის რევოლიუციის ქვეყანას. მან ბლოკადის მუხრუჭებში ჩაიჭირა და დაიმორჩილა ვენგრიის მშრომელი ხალხი, ბლოკადის მუხრუჭებშივე მოაქცია გერმანია, წამოაჩოქა და ყაჩაღურ ხავზე ხელი მოაწერა. ამნაირივე ბლოკადით და პირდაპირ ბრძოლით ის გარს შემოერტყა საბჭოთა რუსეთს, აუწერელი სიმწარენი მიაყენა პროლეტარულ სახელმწიფოს, მარა გატეხით ვერ გაეტეხა ის. და როცა ამ დროს ჩვენებური ბრძენთა-ბრძენნი უცნაური ღრეჭით ასურათებენ რუსეთის მშრომელ მასსების გაჭირვებას, ამით ისინი ააშკარავებენ თავის ფარულ სენს: არ გვინდა რევოლიუცია, არ გვინდა კაპიტალიზმის უღლის გადაგდება, ჩვენ კმაყოფილი ვართ იმ შედარებით მსუქანი ლუკმით, რომელსაც არ გვისპობს ჩვენი კეთილმყოფელი იმპერიალისტური რეაქცია, რომლის ურემში ვებმებით. ჩვენ საკუთარი ნებით! გვირჩევნია იმპერიალისტები იმ ფანატიკოსებს, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან, მიუხედავათ დამშევისა და ათსაგვარ გაჭირვებისა მონობის და ძალადობის წყობილების წინაამდეგ! გვირჩევნია იმპერიალისტები, ვინაიდან მათი წყალობით ბლოკადისაგან თავისუფალი ვართ, არ გვინდა ფანატიკოსების წაბაძვა, რადგან ამით ლუკმა შეგვიმცირდება, მათსავით „კუჭი გაგვიხმებაო"!

ბ. ვექტორი.

### გამოუნახავთ ფორმულა!

ქუთაისის ციხეში ჩამოუყვანიათ ამას წინეთ გურიაში დაპატიმრებული ჩვენი ექვსი მომუშავე ამხანაგი. როგორც იქნა მენშევიკებს მიუგნიათ ნიკოლოზის ჟანდარმერიის არქივებში ნამდვილ საბრალმდებლო ფორმულისთვის. ჩვენს ამხანაგებისათვის ჩაუწერიათ დადგენილებაში: მავნე პიროვნება და კომუნისტური აგიტაცია.

ეს შემოკლებული თარგმანია ძველებურის: вредное для общества лицо, проповедник разрушительных учения коммунизма, анархизма и дарвинизма!

ვულოცავთ „ერთობას" არქეოლოგიურ ნაშთების კვლევა-ძიებაში წარმატებას დემოკრატიულ ადმინისტრაციისას, რითაც ერთი ქვაკუთხედი კიდევ ემატება რუსეთ საქართველოს საზავო ხელშეკრულობის ისედაც მტკიცე შენობას.

### მენშევიკების «იდეიური» ბრძოლის ახალი მეთოდი.

19 ავგისტოს საათის თორმეტზე ჩვენი გაზეთის კანტორაში შემოვიდა განსაკუთრებული რაზმის წევრი და გადმომცა ქაღალდი, რომელიც ჩემს ადრესზე იყო. როდესაც შევეკითხე რაშია საქმე, მიპასუხა, თქვენ გიბარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი და ორ საათზე უნდა ინახულოთო. ნახევარი საათის შემდეგ წავედი, მივედი სამინისტროში და გადავეცი მეკარეს, მოეხსენებინა ბ. ლომთათიძისათვის რომ, მის მიერ ნახმობი გაზ. „ახ. კომუნისტის" რედაქტორი მოვიდა თქო. პატარა ხნის შემდეგ გავხთი ღირსი მენახა ბ. ლომთათიძე. მან დაიწყო თავისი „ტკბილი სიტყვებით" და განაცხადა: მე თქვენთან არ მინდა დიპლომატობა, არამედ როგორც შინაური კაცი ისე შინაურულად ვილაპარაკოთ. თქვენი მამა კარგი ამხანაგია ჩვენი, ამისთვის მე არ მინდა თქვენთვის არავითარი ცუდი რამ. თქვენ რომ თიანეთში დაგიჭირეს, მაშინ იქ თქვენ გაეცით თქვენი ამხანაგები, რითაც მოგვეცა საშვალება აჯანყება ჩაგვექრო. დღეს კი თქვენ ოფიციალურ ორგანოს რედაქტორი ხართ, ჩვენს და ბალშევიკებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია, ამისთვის თქვენ დაანებეთ თავი და წერილობითი განცხადება შემოიტანეთ, თუ ამას არ ინებებთ, იმ შემთხვევაში თქვენ მიერ ხელ მოწერილ ოქმებს გამოვააშკარავებო.

ბ. ლომთათიძე! შარშან ოქტომბერში მე დამიჭირა დ. თიანეთში ერობის თავმჯდომარემ ბ. პაპავამ. ვინაიდან ჩვენი პარტია მუშაობდა ჯურღმულში მაშინ ვაწყობდით აჯანყებებს. იქ მსახურობდა მილიციის უფროსის თანაშემწე ბ. ი. ჯორბენაძე, რომელიც ახლანდელი თქვენი მარჯვენა ხელია და მაშინ კი ჩვენი ამხანაგი იყო. ეს ძლიერ გვიწყობდა ხელს და ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. როდესაც მე დამიჭირეს, მან შიშით თუ განზრახ გასცა ამხანაგები და ზოგი მათგანი თვით დაიჭირა აქ თფილისში, რაზედაც საკმაო ჯილდო მიიღო. დღეს ვერ მოგინელებიათ, რომ ჩვენი ორგანო გამოდიოდეს და ვრცელდებოდეს და ყოველ ღონეს ხმარობთ რათა ჩაკვდეს ეს გაზეთი. და სწორეთ აქეთკენ იყო ბ. ლომთათიძის ეს ნაბიჯი. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამით ფონს ვერ გახვალთ. განა აფერისტი ჯორბენაძე და მათი კამპანია ვერ შეძლებენ შეთხზონ ცრუ ოქმები?.. დიახ გექნებათ შეთხზული და გამოაქვეყნეთ ეს ბევრათ უმჯობესი იქნება, მაგრამ უნდა

იცოდეთ კარგი ხანია მას შემდეგ რაც რომ ქართველი მშრომელი ხალხი კარგათ არჩევს თეთრს შავისაგან, რაიც ასე გაფრთხობთ თქვენ.

ეხლა კი ინებეთ და გამოამზეურეთ, რაც კი რამ გაქვთ შეთხუზული ჩემს წინააღმდეგ.

დ. ჯ.

# საბჭოთა რუსეთის პრესა

## საერთაშორისო კომუნისტური პარტია

კომუნისტური ინტერნაც. მეორე კონგრესმა მოათავა თავისი მუშაობა. უმთავრესი მისი შედეგია—დაარსება ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო  კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი  პ ა რ ტ ი ი ს. აქამდის მხოლოდ სწარმოებდა საერთაშორისო პროლეტარიატის ძალების თავის მოყრა. ამიერიდან უმაგრესი ქვის საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის კომუნისტურ ინტერნაციონალს. საქმით, რევოლიუციონურ ბრძოლაში მან უკვე გააერთიანა მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონები და ათეული მილიონები. ახლა ეს მასსები გაერთიანდენ განსაზღვრულ პროგრამის გარშემო, შექმნეს თავიანთი საომარი შტაბი, საკუთარი ორგანიზაცია.

უნდა თავი მოეყარათ მთელი დედამიწის ყველა კუთხეებიდან პროლეტარიატის წარმომადგენლებს, რომ ბოლო მოეღოთ ძალთა დაქსაქსულობისათვის, მოძრაობის „საყმაწვილო სენისთვის" და მრუდე შეხედულებათათვის, რომლებითაც, ისტორიული კონსერვატიზმის ზეგავლენით, გამოვიდენ მუშათა კლასის ცალკე ჯგუფები.

საჭირო იყო რევოლიუციის გამასაზოგადოებელი ფორმულის მიცემა, რომ ბოლო მოღებოდა ნაციონალურ კერძოობას (кустарничество). უნდა გაშუქებულიყო ცალკე ქვეყნების პროლეტარიატის რევოლიუციონური გამოცდილება, მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის თვალსაზრისით, რომ ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ მასსებს ეგრძნოთ თავის ქვეშ ურყევი ნიადაგი ისტორიული სინამდვილის.

ეს უკვე გაკეთებულია. მეორე კონგრესმა მოგვცა დაწვრილებითი სახელმძღვანელო პრაქტიკულ მოქმედებისათვის.

მეორე კონგრესი იყო პროლეტარული სამსაჯულო, სამსაჯულო ყველა ქვეყნების მუშათა კლასისა მეორე ყვითელი ინტერნაციონალის გამასამართლებელი. მან უჩვენა მასებს გზა ძველი წინამძღოლებისაგან, პარლამენტულ კრეტინიზმისაგან და სოციალ-გამცემლობისაგან მიმყვანი თვითგათავისუფლებისაკენ. მან უთხრა პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ს—საფრანგეთის სოციალისტურ პარტიისა და გერმანელ დამოუკიდებელთ: თქვენ გსურთ იყვეთ მუშათა კლასის პარტიაში? თქვენ გსურთ გამარჯვება?—მაშ შორს იფრინეთ პირმოთნე დიპლომატები და მოლაყბები, რომელნიც მასსების ყოველ მოძრაობას რევოლიუციის საგინებელ ცილისწამებათ აქცევენ! იფრინეთ ბურჟუაზიის შუამავლები! მესამე ინტენაციონალის კონგრესმა უკანასკნელი ლურსმანი ჩააჭედა მეორე ინტერნაციონალის კუბოს. მისი განაჩენი უაპელიაციოა. აბა სინჯონ ლონგემ და გილფენდირგმა აპელაცია „ნაციათა ლიგისადმი"!

კონგრესზე გამოვიდენ სინდიკალისტები: წინააღმდეგ მუშათა კლასის ორგანიზაციისა პარტიათ, წინააღმდეგ პარლამენტის რევოლიუციურად გამოყენებისა, წინააღმდეგ რევოლიუციურად გადახალისების ძველი პროფესიონალური კავშირებისა, რომლებიც დააუძლურა მუშათა ბიუროკრატიამ და მუშათა არისტოკრატიამ.

მათ გულუბრყვილო ჩივილში უფრო მეტი რყევა-ყოყმანი ჩნდა, ვინემ რევოლიუციური შეუპოვარი ქინი, უფრო მეტი რევოლიუციური ფრაზა, ვინემ რწმენა პროლეტარული რევოლიუციის უშრეტ ძალების.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა საზღვარი დაუდვა რყევა-ყოყმანს: პარტია—ეს დამცხები მუშტია მუშათა კლასის; მუშათა კლასის დიქტატურა შეუძლებელია უიმისოთ, თუ თ ვ ი თ  მ ა ს ს ე ბ მ ა არ დაამსხვრიეს საკუთარი მრუდე შეხედულებები, თავისი სულმოკლე რწმენა „დემოკრატიისადმი" იქ, სადაც ის კიდევ გადარჩენილა. ყველგან მასსებთან ერთად, ყველგან მასსების წინ—აი სა ბრძოლველი პაროლი.

კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესმა დახმარების ხელი გაუწოდა აღმოსავლეთის ხალხთა ურიცხვ მილიონებს. აღმოსავლეთის განთავისუფლების საქმე —მთელი მსოფლიოს პროლეტარების საქმეაო, სთქვა მან.

კონგრესმა დაარსა საერთაშორისო კომუნისტური პარტია რკინის დისციპლინით, ნათელი, მეცნიერულად და ისტორიულად დასაბუთებული პროგრამით, ურყევი რევოლიუციონური ტაქტიკით. ერთია მისი პარტია!—როგორც რუსეთში, ისე ამერიკაში, ისევე საფრანგეთში და აღმოსავლეთში.

მუშათა კლასის გაერთიანებული ჯარები ერთი გეგმით, ერთი საომარი ბრძანების თანახმათ გადადიან შეტევაზე ძველი ქვეყნიერების წინააღმდეგ!

(გაზ. „პრავდა", № 174, 8 აგვ.)

# ინტერნაციონალის გარშემო.

## კომუნისტური ინტერნიციონალის მე-2 კონგრესი პეტერბურგში.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ." № 24).

### ამხ. ლენინის სიტყვა.

### იმპერიალიზმის ძირითადი თვისება.

ამხანაგებო! თეზისები კომუნისტურ ინტერნაციონალის ძირითად ამოცანების შესახებ გამოქვეყნებულია ყველა ერებზე, და განაკუთრებით რუს ამხანაგებისათვის არ წარმოადგენენ რაიმე ახელს, ვინაიდან მათში განვითარებულია ჩვენი რევოლიუციონური გამოცდილების ზოგიერთი ძირითადი თვისებები და ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის გაკვეთილები მთელ რიგ დასავლეთ ქვეყნებისთვის, დასავლეთ ევროპისათვის. ამიტომ მე ჩემ მოხსენებაში შევჩერდები უფრო მეტად თემის პირველ ნაწილზე, სახელდობრ, საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მთელი საერთაშორისო მდგომარეობის საფუძველი, როგორც ის ახლაა მოწყობილი, არის იმპერიალიზმის ეკონომიური ურთიერთობანი. მთელი მე-XX საუკუნის განმავლობაში სავსებით გამოირკვა კაპითალიზმის ეს ახალი, უმაღლესი და უკანასკნელი საფეხური. თქვენ, რასაკვირველია, ყველამ იცით, რომ იმპერიალიზმის მეტად დამახასიათებელი და არსებითი თვისება იყო ის, რომ კაპიტალმა მიაღწია უმწვერვალეს სიმაღლეს. თავისუფალ კონკურენციის ადგილზე დამკვიდრდენ უზარმაზარი მონოპოლიები. კაპიტალისტების უმნიშვნელო რიცხვს შეეძლო მოეყარა თავის ხელში ხანდისხან მლეწველობის მთელი დარგები, ისინი გადავიდენ კავშირების, სინდიკატების, ტრესტების და კარტელების ხელში, რომლებიც ხშირად საერთაშორისო ხასიათისაა. ამრიგათ ხელში ჩაგდებული აღმოჩნდა მონოპოლისტების მიერ ფინანსიური, საკუთრების უფლების მთელი დარგები და არა მარტო ცალკე ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოზე. ამ ნიადაგზე განვითარდა მსხვილი ბანკების ფინანსიური ტრესტების და მაგნატების უმნიშვნელო რიცხვის წინათ უნახავი ბატონება, რომლებიც თითქმის ყველაზე უფრო თავისუფალ რესპუბლიკებს საქმით ფინანსიურ მონარქიებათ აქცევდენ. ომამდის ამას აშკარად აღიარებდენ ისეთი არა რევოლიუციონური მწერლები როგორც მაგალითათ ლიზისი საფრანგეთში.

### კოლონიების დაყოფა.

ერთი მუჭა კაპიტალისტების ეს ბატონობა თავის უმწვერვალეს განვითარებამდე მივიდა მაშინ, როდესაც მთელი დედა-მიწა აღმოჩნდა დანაწილებული არა მარტო ნედლი მასალის სხვა და სხვა წყაროების და საწარმოვო საშვალებათა დატაცების სახით ყველაზე მსხვილი კაპიტალისტების მიერ, არამედ კოლონიების წინასწარ დაყოფვის დასრულების სახითაც. 40 წლის წინათ კოლონიებში ირიცხებოდა ერთი მეოთხედ მილიარდზე ცოტა მეტი მცხოვრებნი, რომლებიც დამორჩილებული ყავდა ექვს დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოს. ომის წინ კი, 1914 წელში, კოლონიებში ირიცხებოდა უკვე 600 მილიონი მცხოვრები, ხოლო თუ ახლა მივუმატებთ ისეთ ქვეყნებს, როგორც, მაგალითად, სპარსეთს, ოსმალეთს, ჩინეთს, რომლებიც უკვე მაშინაც იყვენ ნახევარ კოლონიების მდგომარეობაში, მივიღებთ მრავალ ციფრათ ერთ მილიარდ მცხოვრებს, რომელიც დაჩაგრული იყო კოლონიალური დამოკიდებულებით უმდიდრეს, უგანათლებულეს და ყველაზე თავისუფალ ქვეყნების მიერ. თქვენ კი იცით რომ გარდა პირდაპირ სახელმწიფოებრივ, იურიდიულ დამოკიდებულებისა კოლონიალური დამოკიდებულება ჰგულისხმობს ფინანსიურ და ეკონომიურ დამოკიდებულების მთელ რიგ ურთიერთობებს, ჰგულისხმობს მთელ რიგ ომებს, რომლებიც ომებათ არ ითვლებოდა, ვინაიდან ხშირათ უბრალო ხოცვა-ჟლეტას წარმოადგენდა, როდესაც მეტათ გაუმჯობესებული გამანადგურებელი იარაღებით შეიარაღებული ევროპიული და ამერიკული იმპერიალისტები ჯარები ჟლეტდენ კოლონიალური ქვეყნების უიარაღო და უპატრონო მცხოვრებლებს.

### 1914 წ. იმპერიალისტური ომი.

მთელი დედა-მიწის ამ დაყოფვისგან, კაპიტალისტურ მონოპოლიების ამ ბატონობისგან, მსხვილი ბანკების უმნიშვნელო რიცხვის (არა უმეტეს 4—5 ბანკისა ბატონობდა ჯერ კიდევ ომამდის მთელ ცხოვრებაზე უმდიდრეს, უკანასკნელს და თავისუფალ ქვეყანაში) მეუფებისაგან აუცილებლობით აღმოცენდა 1914—1918 წ.წ. პირველი იმპერიალისტური ომი. ეს ომი წარმოებდა იმისთვის, რომ მოეხდინათ მთელი მსოფლიოს ხელახალი გადაყოფა. ეს ომი წარმოებდა იმისთვის, თუ რომელი ერთი მუჭა მსხვილ სახელმწიფოებს შორის—ინგლისი თუ გერმანია მიიღებს შეძლებას და უფლებას ძარცოს, ყვლეფოს, სული შეუხუთოს მთელ მსოფლიოს. თქვენ იცით, თუ როგორ გადასჭრა ომმა ეს საკითხი. ინგლისის ჯგუფის სასარგებლოთ და ამ ომის შედეგათ ჩვენ გვაქვს ყველა კაპიტალისტურ წინააღმდეგობების უფრო მეტად გაუზომელი გამწვავება.

### ომის შედეგები.

ომმა ჩააგდო მაშინვე მთელი მსოფლიოს მცხოვრეთა მეოთხედი მილიარდი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უდრის კოლონიალურს. (რუსეთი, რომელშიაც ითვლება 130 მილიონი მცხოვრები, ავსტრია, ჰუნგრეთი, ბულგარეთი და გერმანია—120 მილიონ მცხოვრებით). მეოთხედი მილიარდი მცხოვრებლებით ქვეყნებს და ისეთი ქვეყანასაც როგორც, მაგალითად, გერმანია ყველაზე მოწინავეა, ყველაზე განათლებულია, კულტურულია და ტეხნიკურათ თანამედროვე პროგრესის სიმაღლეზე დგას, ომმა ვერსალის ხელშეკრულობით მოახვია თავზე ისეთი პირობები, რომლის ძალითაც ისინი ვარდებიან კოლონიალურ დამოკიდებულებაში, სილატაკეში, სიმშილობაში და გაღარიბებაში, ვინაიდან ისინი დიდი ხნით არიან შებორკილი და მიმწყვდეული ისეთ პირობებში, რომელშიაც არც ერთი განათლებული ხალხი არ ცხოვრობდა. თქვენ გაქვთ მსოფლიოს სურათი: ომის შემდეგ მაშინათვე მცხოვრებთა არა ნაკლებ მილიარდის ერთი მეოთხედისა განიცდის კოლონიალურ ჩაგვრას, განიცდის გამხეცებულ კაპიტალიზმის ექსპლოატაციას, რომელიც ტრაბახობდა თავის მშვიდობის მოყვარეობით, და ორმოცდა-ათი წლის წინათ ქონდა კიდევ რამდენიმეთ უფლება, დაეტრაბახებია ეს, სანამ მსოფლიო არ იყო დანაწილებული, სანამ არ ბატონობდა მონოპოლები, სანამ კაპიტალიზმს შეეძლო შედარებით მშვიდობიანათ განვითარებულიყო, სამხედრო დიდი კონფლიქტების გარეშე კი.

ახლა ამ მსოფლიოს ამოძრავების ეპოქის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ჩაგვრის გასაგიჟებელი გამწვავება, ჩვენ ვხედავთ უფრო მეტ სასტიკ კოლონიალურ და სამხედრო ჩაგვრას, ვინემ წინათ იყო. ვერსალის ხელშეკრულებამ ჩააყენა გერმანიაც და სხვა მთელი რიგი სახელმწიფოებიც შეუძლებლობის ნივთიერ პირობებში, სრულ უფლება-მოკლებულ და დაბეჩავებულ პირობებში.

ერების რამდენმა რიცხვმა ისარგებლა ომით? რომ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე, უნდა გავიხსენოთ, რომ იმ ამერიკის შეერთებულ შტატების მცხოვრებნი, რომელმაც მხოლოთ ერთმა მოიგო სავსებით ამ ომით, და მით არა მარტო გაუნაღდა ყველა თავისი ვალები, არამედ სხვებიც გახადა თავის მოვალეებათ,—ამ ქვეყნის მცხოვრებნი არ აღემატებიან ას მილიონს. მცხოვრებნი იაპონიაში, რომელმაც ძალიან ბევრი მოიგო, გვერდზე იდგა-რა იმ ევროპა ამერიკის კონფლიქტისაგან და ხელში იგდებდა რა უზარმაზარ აზიის ხმელეთს,—50 მილიონია. ინგლისის მცხოვრებნი 50 მილიონია, რომელმაც ამ ქვეყნების შემდეგ, ყველაზე მეტი მოიგო. და თუ მიუმატებთ მცხოვრებლების ძალიან მცირე-რიცხოვან ნეიტრალურ ქვეყნებსაც, რომლებიც გამდიდრდენ ომის დროს, მივიღებთ მრავალ ციფრს, მეოთხედ მილიარდს.

ამ გვარათ, თქვენ თვალწინ იშლება მსოფლიოს სურათი ძირითად თვისებებით, როგორც მოეწყო ის იმპერიალისტურ ომის შემდეგ. ერთი და მეოთხედი მილიარდი დაჩაგრულ კოლონიების, ქვეყნების, რომლებიც ცოცხლათ იყოფენ, როგორც სპარსეთს, ოსმალეთს, ჩინეთს; ქვეყნებს, რომლებიც დამარცხებული და კოლონიების მდგომარეობაშია ჩაგდებული. არა უმეტეს მეოთხედ მილიარდისა, ეს ქვეყნებია, რომლებმაც შეინარჩუნეს ძველი მდგომარეობა, მაგრამ ყველა ჩავარდენ ეკონომიურ დამოკიდებულებაში ამერიკისაგან და ომის დროს ყველა სამხედრო დამოკიდებულებაში იყვენ, ვინაიდან ომმა მთელი მსოფლიო ჩაითრია, მან ნება არ მისცა არც ერთ სახელმწიფოს ნეიტრალურათ დარჩენილიყო საქმით. და, დაბოლოს ჩვენ გვაქვს მცხოვრებთა არა უმეტეს მეოთხედი მილიარდისა ქვეყნებში, რომლებშიაც, თავის თავად ცხადია, მხოლოდ ზედაპირმა, მხოლოდ კაპიტალისტებმა ისარგებლეს მსოფლიოს დაყოფვით.

დედამიწის ყველა მცხოვრებთა ჯამი $^3/_4$ მილიარდს უდრის. მე მინდოდა გაეხსენებია თქვენთვის მსოფლიოს ეს სურათი, ვინაიდან კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ყველა ძირითადი წინააღმდეგობანი, რომელსაც მივყევართ რევოლიუციისაკენ, ყველა ძირითადი წინააღმდეგობანი მუშათა მოძრაობაში, რომლებმაც მიგვიყვანა მეორე ინტერნაციონალთან მწვავე ბრძოლამდის, რის შესახებაც ლაპარაკობდა ამხ. თავმჯდომარე—ყველა ესენი გადაბმულია დედამიწის მცხოვრებთა დაყოფვაზე.

და, ამხანაგებო, ბუნებრივია, რომ მთელი მსოფლიოს მცხოვრებთა ასეთ დაყოფვის ნიადაგზე ფინანსიურ კაპიტალის, კაპიტალისტურ მონოპოლიების ექსპლოატაცია ბევრათ უფრო გაიზარდა; არა მარტო კოლონიალური და დამარცხებული ქვეყნები ვარდებიან დამოკიდებულების მდგომარეობაში, არამედ თვითეულ გამარჯვებულ ქვეყანაშიაც განვითარდენ უფრო მწვავე წინააღმდეგობანი, ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი გამწვავდენ. მოკლეთ მე დაგანახვებთ ამას რამოდენიმე მაგალითით.

(შემდეგი იქნება)

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი  პ რ ე ს ბ ი უ რ ო ს ი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

## კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მიმართვა.

**მოსკოვი**, 20 აგვ. კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი მიმართვა: „5 სექტემბერს, ეს—ახალგაზრდათა დღე არის. ამ დღეს ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ყველა ნაციონალური სექციები გამოვლენ ევროპის ქალაქების ქუჩებში, რომ გამოხატონ თავისი სოლიდარობა (თანხმობა) კომუნისტური ინტერნაციონალისადმი და აგრეთვე გამოხატონ თავისი სურვილი იბრძოლონ მსოფლიო რევოლიუციისათვის. როგორც მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დროს ისე ეხლა, ხალხთა სოლიდარობის დღეს, ახალგაზრდა პროლეტარები დაამტკიცებენ თავის ერთგულებას კომუნიზმის იდეებისადმი. ახალგაზრდა პროლეტარების კომუნისტურათ აღზრდის ორიგანიზაცია მთლად დამოკიდებულია საბჭოთა ძალაუფლებისა და სოციალისტურ აღმშენებლობისათვის ნაყოფიერ ბრძოლაზე. თავის რევოლიუციონურ გამოსვლებით პროლეტარული ახალ-გაზრდობა გასალკლდევებული გულით ემზადება კომუნიზმის საკეთილდღეო გადამწყვეტ ბრძოლისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მთელი ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ყურადღებით მოეპყრან პროლეტარული ახალგაზრდობის ამ გამოსვლას. კომუნისტური ახალგაზრდობის. კავშირები საკმაოთ მომზადებულნი უნდა შეხვდენ 5 სექტემბრის დღეს. კომუნისტური პარტია კი ვალდებულია თავისი მორალური გავლენით და წევრების მონაწილეობით გააძლიეროს საერთაშორისო ახალგაზრდათა ამ დღის მნიშვნელობა".

### საბჭოთა რუსეთში

#### პოლონელ დელეგაციის საქმიანობა

**მოსკოვი** 20 აგვ. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი იტყობინება, რომ პოლონეთის დელეგაციის დაუსწრებლობის გამო 18 აგვისტოს საზაო კონფერენციის სხდომა არ შესდგა. იმის გამო ჩვენი დელეგაციის მდივანმა პირადი პროტესტი განუცხადა პოლონეთის დელეგაციის მდივანს.

#### განთავისუფლებულ ადგილებში

**მინსკი**, 18 აგვ. მინსკის მაზრაში მოხალისეთა ჩაწერა კარგად მიდის. წითელ არმიელთა რაზმებში ეწერებიან მოხუცი გლეხებიც.

#### პოლონელების მხეცობა

**ვიტებსკი**. 18 აგვ. როდესაც სლუცკი პოლონელების ხელში იყო—ახალგაზრდა კომუნისტთა ერთი ჯგუფი მუშაობდა არალეგალურად, სარდაფ-ქვეშ.

ახალ გაზრდები დაატუსაღეს და სულ 14 კომუნისტი დახვრიტეს. ახალგაზრდა ამხანაგები დახვრეტის წინ იმღეროდენ „ინტერნაციონალს".

#### ვრანგელის წინააღმდეგ

**მოსკოვი**, 18 აგვ. რუსეთის ყველა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ სამხრეთის ფრონტზე იგზავნება მრავალი მოხალისენი.

#### წარმოების აღდგენა

**სარატოვი**, 18 აგვ. სათბობ მასალის უქონლობის გამო გაჩერებული კამიშინის წისქვილები უკვე ამუშავდა, რადგან მილო საკმაო სათბობი მასალა.

### საბჭოთა აზერბაიჯანში.

#### აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

**ბაქო**, 23 აგვ. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე დასასწრებლათ მოვლენ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენლები ამხ. ზინოვიევი, ბუხარინი და კარლ რადეკი. ყრილობაზე განხილული იქნება ტაქტიკა და შემდეგი ანტანტის საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებები აღმოსავლეთის გასანთავისუფლებლათ. მუშათა ცენტრალურ კლუბის მიერ მიღებულია ზომები, რომ ღირსეულათ შეხვდენ აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებს. ქალაქ ბაქოს ზოგიერთ ქუჩებში გაკეთებულია დიდრონი „თაღები" შესაფერისი წარწერებით.

#### მუშათა რაზმები

**ბაქო**, 23 აგვ. ბაქოში ადგენენ მუშათა რაზმებს ძველი მუშათა შენობების შესაკეთებლათ და ახლების ასაშენებლათ.

#### კონფერენცია

**ბაქო**, 23 აგვ. პირველ სექტემბერს ბაქოში გაიხსნება კომუნისტურ პარტიის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლების კონფერენცია, რომლებიც მუშაობდენ საბჭოთა რუსეთის არმიაში. კონფერენციის მიზანია პარტიულ ორგანიზაციების ჯარში მუშაობის შედეგები გამოარკვიოს და აგრეთვე გამოიმუშაოს მომავალი მოქმედების გეგმა.

### საზღვარ-გარეთ

#### ვრანგელის ზურგის უკან

**ოდესა**, 15 აგვ. იჯანყებული კაპიტანი ორლოვი, რომელიც მოქმედებს ვრანგელის ზურგში: ძლიერ უწყობს ხელს ყირიმის ფრონტის დაშლას. ორლოვის რაზმები მოქმედებენ ფეოდოსის რაიონში.

#### მატარებელზე თავდასხმა.

**ლიონი**, 12, აგვ. იმ მატარებელს, რომელსაც მცველებათ ახლდა ინგლისის და საფრანგეთის ჯარის კაცები თავს დაეცნენ სადგ. შნეიდემიულესთან. გერმანიის მთავრობამ ბოდიში მოიხადა ანტანტის წარმომადგენლების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი და რუსეთი.

**რეველი**, 21 აგვ. ინგლისის მუშების მასსიური გამოსვლების შემდეგ ინგლისის მთავრობის გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ არავის არ სურდა ომი რუსეთთან და რომ მუშათა გამოსვლები სრულიათ ზედმეტი იყოვო. ამ გამოსვლებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია მთავრობის გადაწყვეტილება მოქმედებაზეო.

## ჩეხო-სლოვაკია და რუსეთი.

**ადესა**, 18 აგვ. ჩეხო-სლოვაკიის მინისტრთა-თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ერთი წერილი, რომელშიც ამბობს, რომ ჩეხო-სლოვაკია მალე განაახლებს რუსეთთან დამოკიდებულებასო. „ჩეხიის ხალხი, სწერს ის, არასოდეს არ წავა რუსეთის პროლეტარიატის წინაალმდეგ, რომლის ბელადია დიდებული პოლიტიკური მოღვაწე—ლენინიო.“

ჩეხო-სლოვაკიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაცული იქნას ნეიტრალიტეტი რუსეთ პოლონეთის ომში. ყველა მიმართულების გაზეთები ესალმებიან ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნავენ ხალხის ერთ სულოვნებას ამ საქითხში.

## ამერიკის ფლოტი.

გაზ. „ფიგარო“ იტყობინება, რომ ამერიკის კრეისერ „პიტტებურგმა“ ბრძანება მიიღო გავიდეს ბალტიის ზღვაში. შავი ზღვის ამერიკის ფლოტი გაძლიერებული იქნება ერთი კრეისერით და ექვსი გამანადგურებელით.

## ალბანეთის პროტესტი.

**ლიონი**, 18 აგვ. ალბანეთის დელეგაციამ ნოტა გაუგზავნა ხალხთა ლიგას, რომელითაც პროტესტს აცხადებს ალბანეთის ტერიტორიაზე სერბიის ჯარის შესევის წინაალმდეგ.

## ქემალის სამხედრო შტაბის ცნობა.

**ანგორა**, 7 აგვ! ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის არტილერია, რომელიც ესროდა მერსინის მიდამოებს. ორ აგვისტოს ფრანგები იძულებულნი შეიქნენ დაეტოვებიათ საჩურის აღმოსავლეთ ნაპირი— აკჯა—კუიუნლუს მახლობლათ. ეს მხარე ჩვენმა ჯარმა დაიკავა.

## კაპიტანი ამუნდსენი.

**კონსტანტინეპოლი**, 14 აგვ გაზ. „ბოსფორი“ იტყობინება, რომ ნორვეგიელი მოგზაური, როალდ ამუნდსენი, რომელმაც აღმოაჩინა სამხრეთის პოლიუსი, 10 აგვისტოს გემი „მოდ“-ით რომიდან გაემგზავრა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. ის წავიდა კუნძულ ტირანგელისკენ (ციმბირის ჩრდილოეთით) და იქედან ფიქრობს ჩრდილოეთით ასვლას ჩრდ. ყინულებში გავლით.

## ბრძოლა პრეზიდენტობისთვის

**ნიუ-იორკი**, 10 აგვ. ამერიკული პრესაში გაცხარებული ბრძოლაა პრეზიდენტის არჩევნების მოახლოვების გამო. როგორც ეტყობა გუბერნატორ კოკსის ყველაზე მეტი შანსები აქვს, ვიდრე მისი მოწინაალმდეგეებს. როგორც მაგ., სენატორ გარდინგს, არჩეულ იქნას შეერთებულ შტატების პრეზიდენტათ.

დაჟინებით აღნიშნავენ კოკკას გამჭრიახობას მუშათა საკითხის გადაწყვეტაში. ბევრი ამრჩევლები მის მხარეზეა.
(„ბოსფორ“).

## 21 აგვისტოს სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.

**მოსკოვი**, 22 აგვ. ცეხანოვ-მაკოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა, მკაცრ ბრძოლების შემდეგ დაიხიეს ახალ პოზიციებისკენ. ბრძოლები გრძელდება.

ვლადიმირ-ვოლინის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფლების მთელი რიგი ქ. გრუბეშოვის დასავლეთით.

სოკოლსკის რაიონში გრძელდება ჩვენი წინსვლა.

ლვოვის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობენ შეტევას და 19 აგვისტოს გამოვიდნენ ქ. ლვოვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზზე.

ბრეზიანის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა მედგარ ბრძოლის შემდეგ დაიკავა დაბა მონასტირსკი.

ყირიმის ფრონტზე საყურადღებო ცვლილებები არ მომხდარა.

# ახალი ამბები

— **კომუნისტების დახვრეტა სომხეთში.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 13—14 აგვისტოს ამხ. სტეფანე ალავერდოვთან ერთად დაუხვრეტიათ კიდევ ორი ამხანაგი—ბ. გარიბჯანიანი და მუსაელიანი და დაუმარხავთ მდინარე ზანგის ნაპირას. ბაგრატ გარიბჯანიანს და კაპიტან მუსაელიანს მაისის აჯანყებაში მონაწილეობის გამო საგანგებო სასამართლომ ალექსანდროპოლში მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მაგრამ მთავრობის მიერ შეცვლილ იქნა კატორღით. ალექსანდროპოლის ციხიდან ისინი გადმოუყავდათ ერევანში და გზაზე დახვრიტეს.

## წერილი მეტეხის ციხიდან

### მენშევიკების პოლიტიკა.

როგორც მკითხველს მოეხსენება, საქართველოში დატუსაღებულმა 200 კომუნისტმა ციხეებში შიმშილობა გამოაცხადა; მოითხოვდნენ როგორც უდანაშაულოდ დაჭერილნი განთავისუფლებას ან და კონკრეტიულ ბრალდების წამოყენებას სასამართლოზე გადასაცემათ; მთავრობამ ოთხი დღის შიმშილობის შემდეგ დაასრულა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ ამხ. კიროვთან შემდეგი პირობით: რამდენიმე უნდა გადაესახლებიათ და რამდენიმე უნდა განთავისუფლებიათ მახლობელ დღეებში, როცა მთავრობამ გამოგვიცხადა, რომ „ძალით არავის არ ვასახლებ, ვისაც უნდა წავა, ვისაც არა ციხეში დარჩებაო“. ამის შემდეგ მოდის ოფიციალური დადგენილება, რომლის ასლი მომყავს უცვლელად: „თბილისის № 2 საპყრობილეს უფროსს. თანახმათ მინისტრის მოადგილის განკარგულებისა, გავალებთ გადაუდებლივ შესასრულებლად შემდეგს: ეგრედ-წოდებული კომუნისტები, რომელნიც მოთავსებული არიან თბილისის № 2 საპყრობილეში, სახელდობრ: 1) ნიკოლოზ როსტომის ძე კიკნაძე, 2) გრიგოლ როსტომის ძე კიკნაძე, 3) ლომიძე სერაპიონ, 4) ალექსანდრე იაშვილი *) 5) სერგო მეგრელიშვილი, 6) დავით აფციაური, 7. ბიქტორი სიხარულიძე, 8) თედორე ბუაჩიძე, 9) ონიფანტე ჯიბლაძე, 10) ივანე ბაბუაძე, გადასახლებულ უნდა იქმნენ რესპუბლიკის საზღვრებიდან აზერბაიჯანში, რის გამო საჭიროა გამოუცხადოთ აღნიშნულ პირთ, რომ მათი გადასახლება მოხდება მას შემდეგ, როცა გამოაცხადებენ, რომ ისინი მზათ არიან გადასასახლებლად. ამის შემდეგ საჭიროა ჩამოთვლილი გადასახლებულნი პირნი მილიციელთა თანხლებით გააგზავნოთ ფოილოში და იქ (ფოილოში) გადასცეთ ხელწერილის ქვეშ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის წარმომადგენელს, რომელიც თავის მხრივ გადაგზავნის აზერბაიჯანში. რაც შეეხება დანარჩენ კომუნისტებს, რომელიც ციხეში იმყოფებიან, მათი საქმეების გარჩევა მოხდება მას შემდეგ, რაც ჩამოთვლილნი პირნი გადასახლებული იქნებიან აზერბაიჯანში. შედეგი საჭირო განმარტებით გვაცნობეთ.

დირექტორი **გეგელაშვილი**, ადმინ. განყ. უფროსი **ცინცაძე**, საქმის მწარმოებელი X.

ამის შემდეგ ციხის უფროსი ასრულებს მთავრობის მიერ განკარგულებას და გზავნის მილიციონერების თანხლებით საზღვრამდე. მაგრამ დახე საკვირველებას, საზღვარზე უპროპუსკოთ არ გვღებულობენ აზერბეიჯანის ამხა-გები, რაც კანონიერად უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებამ ენის „კლატე“ აუხსნა რამდენიმე არა მკითხვ ეაებატონს და ალაპარაკდენ. ხედავთ, თქვენი ამხანაგები არ გღებულობენო! და ისევ უკან დაგვაბრუნეს მეტეხის ციხეში პროპუსკების ასაღებათ. მე სრულებით არ ვამტყუნებ იმ ამხანაგებს, რომ არ მიგვიღეს „უპროპუსკოთ“. სწორედ ასედაც უნდა მოგცეულიყვნენ, განა მათ არ იცოდნენ, რომ ჩვენ კომუსისტები ვიყავით? კარგათ იცოდენ, მაგრამ რომ შემდეგ არ მოტყუებულიყვნენ და არ შეპარებოდათ კომუნისტის სახელით ვინმე პროვაკატორი, სწორეთ ამისათვის იყო საჭირო!...

აი რა პოლიტიკა იხმარა მთავრობამ, რას ნიშნავს ეს? ნუ თუ მაგათ არ იცოდენ, რომ „უპროპუსკოთ“ არავის უშვებდენ? კარგათ იცოდენ, მაგრამ ის უნდოდათ დაემტკიცებიათ, რომ „ჩვენ ძალით არ გადაგვისახლებია-ო“. არ გაჰყვა ბ. ბ. მენშევიკებს მუდამ ასეთი ხრიკები, ეს იცის მშრომელმა ხალხმა, რომ კომუნისტები თავის ნებით არ ჯდებიან ციხეში, ისიც იციან, რომ ჩვენი სურვილი არ იყო გადასახლება; ჩვენ მოვითხოვთ განთავისუფლებას და არა გადასახლებას. უკიდურეს შემთხვევაში დავემორჩილეთ უხეშ ძალას და გადავსახლდით. ამისთვის მათი ვალდებულება იყო „პროპუსკები“ მოეცათ ჩვენთვის და ისთე გავეგზავნეთ. ეხლა მოვუწოდებ ყველა დატუსაღებულ ამხანაგებს ვისაც გადასახლებას გამოუცხადებენ, რომ ფეხი არ გადადგას ციხიდან მანამდი, სანამ „პროპუსკს“ არ მისცემს თვითონ მთავრობა.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ შვიდი დღე არიან ფოილოში ექვსი გადასახლებული ჩვენი ამხანაგები, მოუთხოვნიათ „პროპუსკი“ და ჯერაც არ მიუციათ.

**სერგო მეგრელიშვილი.**

*) ამხ. იაშვილი ავათმყოფობის გამო დარჩა ციხეში.

## შურის მაძიებელი ქამები

(წერილი ციხიდან)

საბრალო მენშევიკების ჩინოვნიკები! ამ პატარა სულით და გონებით კაცუნებს, რა დიდი ბოროტი გული აქვთ?! შურით, ღვარძლით, სიძულვილით აღვსილი გული! მათ ვერ მოუნელებიათ და ვერ შერიგებიან იმას, რომ ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ!! ციხეში ვლაპარაკობთ-ხშირად მხიარულადაც, ხანდისხან ვიმღერით წითელი სიმღერებს, საჭიროების დროს ბრძოლაც ვიცით ციხის პირობების მიხედვით ყოველივე ასეთი მოძრაობა ცოცხლად დამარხულებისა მათ სიმშვიდეს უკარგავს; მათ ჭკუაგონებასთან არა ზომიერათ გაბერილი ღვარძლიანი გული ლამის გასქდეს. ისინი ყოველი ღონეს ხმარობენ და ყველა საშუალებებს მიმართვენ, რომ ჩვენი,

**ნ. ბუხარინი.**

## პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.

(იხ. „ახ. კომ.“ № 24).

### 2. პროლეტარული რევოლიუციის მსოფლიო ხასიათი და რუსეთის რევოლიუციის ეკონომიური ხარჯები.

კარგი, მაგრამ—მოგვახლიან ჩვენი კრიტიკოსები—საბჭოთა ძალა-უფლება ხომ თითქმის ორი წელიწადია დამყარებულია რუსეთში; რატომ აქამდე ვერ შესძლეს ბოლშევიკებმა სამეურნეო ურთიერთობათა მოგვარება-მოწესრიგება? რატომ არის, რომ საბჭოთა რუსეთში მეტი შიმშილობაა, ვინემ იმპერიალისტურ საფრანგეთში. რატომ ხდება, რომ ბევრ დარგში შრომის ნაყოფიერება ეცემა ამაღლების და გადიდების ნაცვლად? ხომ არ არის ეს პერმანენტული რეგრესი საწარმოო ძალებისა? გარდა იმისა, რომ ასე მოუბარნი უსაზიზღრესათ იქცევიან, როდესაც ცდილობენ თავისი სილაჩრე დაჰფარონ რუსეთისა და უნგრეთის გმირულ პროლეტარიატის მიერ გაღებულ სისხლიან მსხვერპლთა სამასხროდ აღებით; ამასთანავე ისინი ივიწყებენ (ვინაიდან ეს მეტად ხელსაყრელია მათთვის) იმას, რასაც ისინი ისე გულმოდგინეთ სწერდენ, ამბობდენ და ჰქადაგებდენ. ომის წინა დროინდელ მარქსისტულსა თუ quasi—მარქსისტულ ლიტერატურაში არა ერთხელ აღძრულა საკითხი—შესაძლოა თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში. მას შემდეგ, რაც სწავლული არა სწავლული სოციალისტები ამ საკითხზე სტატიებს სწერდენ, განვლო რამოდენიმე სისხლიანმა წელმა, და ეხლა მთელი განვითარების კონტურები ათასჯერ უფრო ნათლად და გარკვევით მოსჩანს, ვინემ მაშინ. ეხლა ცხადია: არ შეიძლება ჩვენს დროში ისეთი დიდი ომი, რომ ის ადრე თუ გვიან არ გადაიქცეს მსოფლიო ომათ. და სწორედ ასევე, შეუძლებელია ეხლა დიდი რევოლიუცია, რომ ის არ შეეხოს მთელს ქვეყანას, რადგან ის აუცილებლად მიიპყრობს თავისკენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სიმპატიას, აამოძრავებს და დაუპირდაპირებს ყველა ძალებს მსოფლიო იმპერიალიზმისას და გადაიქცევა მსოფლიო რევოლიუციად. მარქსი ერთ-ერთ თავის შესანიშნავ ისტორიულ შრომაში სწერდა,—რევოლიუციის პარტია თავს უყრის და რაზმავს კონტრ-რევოლიუციის ძალებსო. და ეს დაკვირვება მარქსისა ობექტიურად სავსებით სწორია (თუმცა ყოვლად მიუწდომელი ოპორტიუნისტებისათვის, რომელთა ფილისტერული მორალი გამოიხატება ცნებაში: „ხელს ნუ ახლებ ბურჟუას, თორემ გაჯავრდება და მაშინ მოგვევლინება კონტრ რევოლიუციაო). როცა არსებობს მსოფლიო მეურნეობა თავისი მჭიდროო შეკავშირებული ნაწილებით, როცა სახელმწიფოებრივად დაწყობილ-დარაზმულ ბურჟუაზიის ჯგუფებს შორის არსებობს ასეთი მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა, თავისთავად იგულისხმება, რომ ბრძოლა ერთ ქვეყანაში ვერ დასრულდება, თუ გადაწყვეტით არ გაიმარჯვა ამა თუ იმ მხარემ რამოდენიმე განათლებულ ქვეყანაში. წინაალმდეგობა რუსეთის კონტრ-რევოლიუციის მხრით (კოლჩაკის დენიკინის და კომპანიის) იმიტომ არის აგრე უტეხი, რომ ის ვრცელდება ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის და სხვების მოკავშირეებზე და იქცევა პირდაპირ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციად. ენერგიისა და ძალღონის,—უცხოეთის წყაროები—აი რა კვებავს ნივთიერად და ზნეობრივად რუსეთის ბურჟუაზიას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნის (ან ქვეყნების) პროლეტარიატს, სადაც პირველად აფრიალდა აჯანყების დროშა და რომელმაც თავის ქვეყანაში გაიმარჯვა კიდევაც, არ ასცდება უდიდეს მსხვერპლთა გაღება: ვინაიდან სწორედ მას ამოიღებს ნიშაში და მისკენ მიმართავს მთელს თავის თავდამსხმელ ძალას გაერთიანებული მსოფლიო კაპიტალი. რუსეთის ბოლშევიზმის კრიტიკოსთა გამოსავალი წერტილია გულუბრყვილო წარმოდგენა რუსეთის რევოლიუციაზე, როგორც დასრულებულ პროცესზე თითქმის, მხოლოდ ისღა დარჩენილა, რომ შეუდგენ დიდებითი ორგანიზაციულ მუშაობას, საწარმოო ძალთა განვითარების საქმეს და სხვა სინამდვილეში კი რუსეთის რევოლიუცია ეწევა ბრძოლას ჯერ კიდევ თავისი სამერმისო არსებობისათვის ელემენტალურ წინსწარ პირობათა მოსაპოებლად, თვითონ ვითარდება, იზრდება, და ხდება მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციათ, ხოლო, თავის წინაალმდეგ რაზმის ძალის მსოფლიო კონტრ-რევოლიუც. უხეშ სისულელეთ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ ნაკლულევანებათა განხილვა ოლიმპიური სიდიადის სიმაღლიდან, ან ბოლშევიკებისთვის მიწერა ამ ნაკლულევანებათა, ან და მათზე იმ აზრით მითითება, რომ დასავლეთ ევროპის (და ამერიკის) პროლეტარიატის გამოსვლები შეაჩერონ. ასეთი ტაქტიკა არ შეიძლება არ იყოს თანასწორად სულელურიცა და მოღალატურიც; სულელური იმიტომ, რომ ის მხოლოდ ახანგრძლივებს ბრძოლის ტანჯვებს და ამრავლებს მსოფლიო რევოლიუციის ხარჯებს; მოღალატური, იმიტომ, რომ ის ეხმარება მსოფლიო კონტრ-რევოლიუციას, თეთრ ტერორს, გამხეცებული იმპერიალიზმის საშინელებას. ამ მხრით რუსეთის მაგალითი განსაკუთრებით დამარწმუნებელია. ყოველ იჭვს გარეშე უნდა დადასტურდეს, რომ თავისი არსებობის რაღაც ორი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა უდიდესი ორგანიზაციული წარმატებანი ყველა დარგებში, დაწყებული ეკონომიკით და გათავებული წითელი ჯარით. ეს ასეა, მაგრამ, ქვეყნის საწარმოვო ძალები მაინც არ იზრდებიან, ისინი უფრო ეცემიან, მიუხედავათ კოლოსალური საორგანიზაციო მუშაობისა. რითი აიხსნება ასეთი ფაქტი? ამის მიზეზია არა მარტო წარმოებისათვის უნაყოფო ხარჯი სამხედრო საქმეები improdukionskonsu mtion, არამედ ისიც, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წყაროები შეშისა და სათბობი მასალისა (ნავთი, ნახშირი, ბამბა) უცხოეთის იმპერიალიზმსა და შინაურ კონტრრევოლიუციას ჩუარდა ხელში.

ფიქრიც მეტია საწარმოვო ძალთა გაზრდა-განვითარებაზე, სანამ პროლეტარიატის განკარგულებაში არ იქნება ეს ყოვლად მიუცილებელი ელემენტები წარმოებისა.

მაგრამ დაილოცოს ჩვენი კრიტიკოსები – ტომები, ჰენდერსონები, შეიდმანები, კაუცკები! ეს ვაებატონები ცალცაკე და ყველა ერთად—ორგანიზაციულად დარაზმული (ბერნის ყვითელი „ინტერნაციონალი“) არსებითად ხელს უწყობენ და ეხმარებიან ყაჩაღურ „ერთა ლიგას“, ამ საღმრთო კავშირს კაპიტალისტებისას, მიმართულს პროლეტარიატის წინაალმდეგ. ისინი ეხმარებიან ამ ყაჩაღებს, რომ მათ რუსეთის პროლეტარიატს გამოაცალონ საფუძვლები მათი ეკონომიური ცხოვრებისა, ხოლო ამის შემდეგ ფარისევლურად გაიძახიან: „აბა შეხედეთ—რა გამოუვიდათ ბოლშევიკებს სასიკეთოო“.

იგივე ითქმის რუსეთის ბლოკადის შესახებაც.

ნედლისა და სათბობი მასალის წყაროთა დაკარგვა და მასთან ერთათ ბლოკადა გვართმევს შეძლებას რიგზე მოვაწყოთ ჩვენი განსაზოგადოებული მრეწველობა, რომლის ზოგი დარგი ირღვევა და იშლება კიდეც. ჩვენ შეგვიძლია ამ საქმის მოწყობა ორგანიზაციულად, მაგრამ ეს არ კმარა: რომ საქმე მოეწყოს, ამისთვის საჭიროა წარმოების ძირითადი ელემენტები, ტეხნიკური პირობები, რომლებიც ჯერჯერობით გამოცლილი გვაქვს ხელიდან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ეკონომიური განვითარების დონე ერთბაშათ აიწევს ზევით, როგორც კი დავიუფლებით საამისო ტეხნიკურ პირობებს. ეს კი ჩვენი ფრონტის საკითხია და უმეტესწილათ საკითხი მსოფლიო რეოლიუციის განვითარებისა.

მსოფლიო რევოლიუცია არავითარ პირობებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგზობითი ერთროული აქტი. ის ვინც მოუწოდებდა მუშებს, მოიცადეთ, ნუ დაიწყებთო, სანამ სხვები დაიწყებდენო,—ფაქტიურად ღალატობდა და ჰყიდდა სოციალიზმს მთელად, იმიტომ რომ ეს იყო რევოლიუციის გადადება ad caiendas precas.

მიმდინარე პოლიტიკა მდგომარეობს, არა მოღალატურ მოქმედებაში საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, არამედ მათთვის ხელის შეწყობაში, დახმარებაში და ისეთი სამეურნეო ბლოკის სასწრაფოთ მოწყობაში, რომელიც შეაერთებს ერთმანეთის შემავსებელი (აგრარულისა და სამრეწველო) ტიპის ქვეყნებს და უზრუნველს ყოფს მეტად თუ ნაკლებათ ნორმალურ მსვლელობას საზოგადოებრივი წარმოებისას და, ამ ნაირად, დაუკარგავს რა ძალას ბლოკადას, ხელს შეუწყობს მოძრაობის განმტკიცებას მის ბრძოლაში მსოფლიო კაპიტალის წინაალმდეგ.

რუსეთის პროლეტარიატმა თავისი სისუსტე კი არა, თავისი გიგანტიური ძალა დაამტკიცა საქვეყნოთ. ებრძვის რა მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს (გარდა ინგლისისა, იაპონიისა, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, გერმანიის, ფინლიანდიის და სხვათა და სხვათა, თვით ნეიტრალური ქვეყნებიც კი მის წინაალმდეგ აწარმოებენ ფაქტიურად ომს: ეს დაგვანახვა ამას წინად პეტერბურგში აღმოჩენილმა შეთქმულებამ, რომლის ძაფებს თავი ჰქონდათ მოყრილი „ნეიტრალურ“ საკონსულოებში), გამოაწყო რა წითელი ჯარი, რომლებშიაც შეიყვანა მისი საუკეთესო ძალის ცხრა მეათედი, მუშათა კლასმა თავისი ბატონობის ორი წლის განმავლობაში დიდათ გააუმჯობესა მმართველობის აპპარატები ყველა დარგში. და რა მისი ბრალია, თუ რომ მსოფლიო რევოლიუციამ ჯერ კიდევ ვერც ერთ მსხვილ ვეშაპს მოკავშირეთა კაპიტალისას ვერ გაუტეხა ზურგის ხერხემალი.

აქიდან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი მორალი: ნუ წუწუნებთ. ნუ ლაყბობთ პროლეტარიატის ულონობაზე, როგორც ამას სჩადიან პროფესიონალური გამრყვნელები მუშათა კლასისა, არამედ მტკიცეთ და იმედიანთ გასწით წინ კაპიტალის დასამხობათ, მუშათა დიქტატურის დასამკვიდრებლათ, საბჭოთა ქვეყნების შესაკავშირებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც განაწამები სიცოცხლე, რაც შეიძლება უფრო გააჯოჯოხეთონ, უფრო მეტი ტკივილები გვაგრძნობინონ, მეტი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა მოგვაყენონ.

დაწყებული ციხის გამგიდან გათავებული თვით მინისტრებით „ქამი ქამზე ზის და ქამს მიერეკება."

ოთხი დღე ნახევარი ვიშიმშილეთ 80 მეტმა კაცმა, მოვითხოვდით ბრალდებების წამოყენებას. თუ როგორ დამთავრდა შიმშილობა ჩვენმა ამხანაგებმა უკვე იციან.

მთავრობის წარმომადგენელმა ბ-მა გეგელაშვილმა დაგვპირდა, რომ ჩვენი საქმე გამორკვეული იქნება ერთი კვირის განმავლობაში (სხვათა შორის ჩვენა წინა წერილში შეცდომით იყო ნათქვამი „სამ კვირაში," უნდა ყოფილიყო ამ კვირაში"). დღეს კი თერთმეტი დღე გადის რაც ჩვენ შიმშილობა გავათავეთ და ამ ხნის განმავლობაში 80 კაციდან „გამოირკვა" მხოლოდ 12 ამხანაგის „ბედი." ამათში 5 გაანთავისუფლეს და 7 გადაასახლეს „დემოკრატიული" რესპუბლიკის საზღვრებიდან. ასე აასრულა ბ-ნ გეგელაშვილმა თავისი „ავტორიტარული" დაპირება. საინტერესოა, რომ გადასასახლებელ ამხანაგებს არ მიცენ არც ერთი საათი დრო თავისი პირადი და ოჯახური საქმეების მოსაწყობათ. აქაც გამოიჩინეს თავისი „კეთილშობილება."

აღსანიშნავია აგრეთვე მშვენივრად დამახასიათებელი მენშევიკების ჩინოვნიკების „მეთოდი" გულღვარძლიანობისა თვით ქამური ჩვენი „ბედის" გამორკვევის როგორც ქუთაისის ხელით საჩვენებელი ქამმა ბ-მა მაღნარაძემ განაცხადა, ამხანაგებს გადაასახლებენ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად 4-5 კაცს. რით უნდა აიხსნას ეს, თუ არა იმითი, რომ მოგვაყენონ ამით აქაც უსიამოვნება და ზედმეტი ტანჯვა. იმის მაგივრად, რომ ვინც გადასასახლებელია ყველანი ერთად იქნან გადასახლებულნი, მთავრობის „კაცნი" პატარა ჯგუფებს გლეჯენ და ისე აგზავნიან მათ თუ კი გასაგზავნად დანიშნული ჯგუფი მოინდომებს დაუცადოს სხვებს და კიდევ რამდენიმე დღე ზედმეტათ დარჩება ციხეში, მაშინ მეორე „ოჩერედში" მყოფ ჯგუფ' არ აქვეყნებენ მანამ სანამ პირველი ჯგუფი არ „გადასახლდება." მე არ ვიცი, შეიძლება კიდევ მეტი დაცემა და დაგლახაკავება ადამიანის ბუნებისა? აქ არავითარ სახელმწიფოებრივ ინტერეს ადგილი არა აქვს, აქ არის უბრალო, მოუხეშავი ძალა ვირისა, რომელიც გაბოროტებული ტლინკებს ისვრის მხოლოდ.

როდესაც ჩვენ ასეთი საზიზღარი—ძალმომრეობის შესახებ მოვინდომეთ მოვლაპარაკებოდით ბ-ნ დ. თოფურიძეს (ქუთაისის ქ. თავს) და დავიბარეთ ის ციხეში—მან ჩვენი თხოვნა არ შეასრულა და ციხეში არ მოვიდა. და ეს ის თოფურიძე, რომელიც ისეთი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით და რიხიანი დაპირებებით გაგვიმასპინძლდა გაფიცვის პირველ დღეს, როდესაც მან „დაუპატიჟებლათაც" გვესტუმრა ჩვენ „სასახლეში." ჩვენ არ ვიცით, რით ავხსნათ ბ-ნ ქუთაისის ქალაქის თავის ასეთი „უცაბედი გარდაქმნა" ჩვენს მიმართ? ეჭვი კი გვეპარება: ბ-ნ მაღნარაძის „დიქტატორული" ხელის წინაშე ხომ არ იგრძნო „ერთგვარი შიშიანობის უხერხულება" ბ-მა თოფურიძემ? ვინ იცის?! მხოლოთ თუ კი ეს ასეა, ჩვენ შევდივართ ბ-ნ დიომიდეს მდგომარეობაში, ბოდიშს ვიხდით მის წინაშე ასეთი უხერხულობის მიყენებისათვის და სიტყვას ვიძლევით, რომ შემდგომ ასეთ რამისთვის არ შევაწუხოთ იგი.

დაბოლოს არ შეგვიძლია არ მოვას მენოთ ბ-ნ მენშევიკების:

ბატონებო! ასეთი „სახელოვანი მოქმედებებით" ჩვენ ოდნავათაც ვერ გაგვტეხთ წელში; ჩვენ საკმარისად უკვე მივეჩვიეთ ასეთ რამეებს თქვენი საქმეები კი შემოდგომის ბუზებს გვაგონებს—მხოლოდ. მუქარით არ მოგმართავთ, გაგახსენებთ კი იმას, რაც ყველა თქვენგანის გულში ცეცხლივით ტრიალებს და მოსვენებას არ გაძლევთ: თქვენი ბატონობას ბოლო უჩანს. ამას ნუ დაივიწყებთ, პატივცემულნო, დიდო და პატარა ქამებო!!

(ქუთაისის საგუბერნიო ციხე 18 აგვ.)

ვ. ბ.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში

### ფოთის ნავთსადგურის მუშების საქმე გაფიცვამდი მივიდა.

ფოთის ნავთსადგურში ამ ჟამათ დაახლოებით 800 კაცამდი მუშაობს. უმუშევართა რიცხვი აქ 500 კაცამდი ადიოდა, რომლებმაც დიდხანს იცადენ, იქნებ ვიშოვოთ რამე სამუშაოო, და რა დარწმუნდენ, რომ არავითარი სამუშაოს შოვნა არ შეიძლებოდა და ცდა უსაქმოთ დიდ ხარჯს იწვევდა ამ სპეკულიანტთა სამეფოში, იძულებული გახდენ წყევა-კრულვით მიეტოვებიათ ფოთი. (ბევრი მათგანი ხშირად გვხვდებიან სოფლებში მათხოვრებათ). ხოლო ას კაცამდე უმუშევართა შორის ისეთები აღმოჩნდენ ოჯახური თუ სხვა პირობების გამო, რომ ვერ დასტოვეს ფოთი და იძულებული გახდენ ზოგს დღიურათ ემუშავა და ზოგი კი სულ უსაქმოთ ქუჩაში გავარდნილიყო ხვთისანაბარათ ახლა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რანაირ მდგომარეობაშია მუშები საქართველოში და განსაკუთრებით ფოთში, საჭიროა გავითვალისწინოთ იმ 800 მუდმივი მუშების უმწეო მდგომარეობა, რომელთაც დღიურ წეს-რიგში გაფიცვა აქვენ დასმული.

ყველაზე უფრო გაჭივრებულ მდგომარეობაში შავ ქვაზე მომუშავენი იმყოფებიან. ისინი დღეში (ფუთზე 90 კაპეიკი) მაქსიმუმს სამას მანეთს გააკეთებენ თუ მთელ თავის ძალ-ღონეს და ენერგიას შეალევენ ამ სამუშაოს. ეს სამუშაო კი ყველაზე უფრო ძნელ სამუშაოთ ითვლება ნავთსადგურში და ყველაზე ნაკლები ხელფასი ეძლევა ამ დარგის მუშებს სხვაზე შედარებით.

მუშებს დიდი იმედი ჰქონდათ ერთ დროული დახმარების. მას ციურ მანანასავით შეჰყურებდენ, მაგრამ აქ მუშათა სახლი გადაელობა წინ და მათი 1,200,000 მანეთი სახლის სასარგებლოთ დაუკავენ—თითოს 2500 მანეთი. ეს არ აკმარეს და ორი დღის ნამუშევარიც ზედ მიაყოლეს ამავე სახლის სასარგებლოთ.

ყველა ეს წვეთია ზღვაში და ვინ იცის კიდევ რამდენს დაგვიკავებენო, ამბიაბენ უკმაყოფილო მუშები.

თავიდანვე მუშები, თუმცა სახლი საჭიროდ მიაჩნდათ, წინააღმდეგი იყვნენ მისი აშენების, რადგანაც მათ არ შეეძლოთ ასეთი თანხა გადაეხადათ თავისი უმნიშვნელო ჯამაგირებიდან. ბ. მწარმოებლებმა ააშენონ, ჩვენ ისიც გვეყოფა, რასაც გვყლეფვენ და ტყავს გვაძრობენო. ასეთი აზრის იყვნენ და არიან დიდი უმრავლესობა ნავთსადგურის მუშების. ეს უკმაყოფილობა გამოითქვა ისევ მენშევიკის ბ. ს. მეგრელიძის პირით (თორემ სხვა ვინ გაბედავდა), რომელმაც განაცხადა, ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი მცირე ჯამაგირებით სახლის აშენებას, ჩვენ ისედაც უწეო მდგომარეობაში ვართ; საჭიროა სხვა სასაშუალების გამონახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავი გავანებოთო. მაგრამ ბ. ვანო კობახიძემ დაუყვირა „ან შენ და და ან მეო" და საკმარისი დარჩა ეს ალექსანდრე პირველის გმირული სიტყვების გამეორება, რომ კითხვა გამორკვეულიყო! აი კიდევ ერთი ფაქტი მენშევიკების პოლიტიკის სრული გაკოტრების დამამტკიცებელი: ამას წინად ნავთსადგურის მუშები მოურიგდა მთავრობის რწმუნებულთ 14 მანეთად ცალი ხორბლის გადმოტვირთვას, რადგანაც ეს კაკალი ტომრებში დაბეჭდილი ყოფილიყო მაშინ 8 მანეთი ეღირებოდა. მენშევიკების სრული თანხმობის შემდეგ მუშებმა გადმოტვირთეს ხორბალი და შრომის ფასიც აიღეს. გავიდა რამდენიმე ხანი და გამოუცხადეს მუშებს მენშევიკებმა ხორბლის გადმოტვირთვაში 700000 მანეთი მეტი გაქვთ აღებულიო. ჩვენი მორიგებაზე სატარიფო პალატა ასე გვეთანხმება და ფული უკან უნდა შემოიტანოთო. რას ნიშნავს ეს?! ნიშნავს თუ არა თავის-თავის უარყოფას!

მუშებმა ამაზე უპასუხეს, ჩვენ ნაკლებ არ გადმოვტვირთამდით. ეხლა ფულის გადახდაზე გადაჭრით უარს უცხადებთო. მაგრამ მენშევიკებმა მიმართეს ჩვეულებრივ ხრიკებს და მოტყუილებას. მუშებს დააცლევინეს 37 ვაგონი შავი ქვა და შემდეგ გამოუცხადეს ამ ნამუშევრის ღირებულებას გამოგიქვითავთ იმ ზედმეტი ფულებიდანო. ამ გარემოებამ დიდათ ააღელვა მუშები დიდი უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვია მენშევიკების წინააღმდეგ.

ვინ იცის რით დამთავრდებოდა ეს დავა, რომ მუშებს უფრო მაგარ ადგილას არ მოეკიდებია ხელი მენშევიკებისა. იმათ მოითხოვეს თუ შავი ქვის გადატვირთვა ფუთი 150 პროც. არ გაადიდეთ გავიფიცებითო. ამის გამო მენშევიკებმა აფრინეს თბილისში ბ. ვანო კობახიძე რომელმაც ჩამოიტანა შემდეგი ამბავი: გაფიცვა ყოვლად შეუძლებელია, ჩოვლად დაუშვებელია შეაჩერეთო. ხორბლის გადმონატვირთავი ზედმეტი ფული გაპატიენო. მაგრამ ეს ფული, მუშებს უდაოთ ეკუთვნის და მენშევიკების ასეთი უკბილო დათმობა, ჩუქება თუ ქველმოქმედება დიდი ბრძოლის და უკმაყოფილების შემდეგ არ აკმაყოფილებს მუშებს. ისინი განმეორებით მოითხოვენ შრომის ფასის 150 პროც. გადიდებას. შაბათს უნდა გადაწყდეს ეს კითხვა; ვნახოთ რას იზამს მენშევიკების დააკმაყოფილებენ ნავთსადგურის მუშების კანონიერ მოთხოვნილებას თუ მიიყვანენ საქმეს გაფიცვამდი და „საეჭვო ელემენტებით" აავსებენ ციხეებს!

vits.

## საზღვარ-გარედ

### პროფესინალური და პოლიტიკური მოძრაობა ისპანიაში

ამ წერილში მე მინდა აგიწეროთ თქვენ ისპანიის მუშათა კლასის მდგომარეობა, მისი პროფესიონალური და პოლიტიკური მოძრაობა, რომ ნათელი წარმოდგენა იქონიოთ ამის შესახებ.

ისპანიაშიაც, როგორც ყველა სხვა ქვეყნებში, ორი მიმდინარეობაა პროლეტარიატში—რევოლიუციონური და რეფორმისტული. პირველი მუშაობს ჰერქვეშ და პროპაგანდას ეწევს სამრეწველო მუშებსა და გლეხებს შორის „შრომის ნაციონალურ კონფედერაციის რევოლიუციონურ-სინდიკალისტურ ორგანიზაციის საშვალებით, რომლის სახელმძღვანელო ცენტრი იმყოფება ქ. ბარცელონაში. ეს ორგანიზაცია, რომელიც დგას კომუნიზმის და კლასთა რევოლიუციონურ ბრძოლის თვალთსაზრისზე, 1917 წ. დამლევში ირიცხავდა თავის წრეში მხოლოდ 70 ათას წევრს, კონფედერაციის უკანასკნელ კონგრეს კი, რომელიც მოხდა 1919 წ. დეკემბერში, დაესწრო 525 დელეგატი, რომლებიც შეიკრიბენ ისპანიის ყველა კუთხეებიდან და წარმოადგენდენ მილიონ მუშებს. ამ რიგათ „შრომის ნაციონალურმა კონფედერაციამ" მოასწრო ორი წლის განმავლობაში თავისი მოქმედების და ბრძოლის მეთოდების შემწეობის გაერთიანებია ისპანიის თითქმის მთელი მუშათა კლასი.

მაგრამ ისპანიის მთავრობა წახალისებული ბურჟუაზიის მიერ მთელი ძალღონით ისწრაფვოდა ხელი შეეშალა რევოლიუციონურ-სინდიკალისტების ორგანიზაციის ნაყოფიერ შედეგებისათვის; კონგრესის ერთი კვირის შემდეგ დეკემბრის დამლევში მან გამოაცხადა შრომის კონფედერაცია კანონს გარეშე და ციხეებში ჩაყარა ყველაზე უფრო პოპულიარული მებრძოლები, სადაც იმყოფებიან დღემდისაც.

თუ როგორ გულდასმით ასრულებს ისპანიის მთავრობა თავის ამოცანას, როგორ იცავს ის ბურჟუაზიის ინტერესებს, სჩანს იქიდანაც, რომ ციხეებში 500-ზე მეტი ჩვენი ამხანაგია ჩაყრილი, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ შევსძელით ბევრი გამოგვეგლიჯა პოლიციის და ჟანდარმების ხელიდან.

„შრომის ნაციონალური კონფედერაცია", რომელიც იძულებული იყო გადასულიყო არა-ლეგალურ მდგომარეობაში დევნისა გამო, რომელსაც ის განიცდიდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, და მასთან ლეგალური მუშაობის ნება არ ქონდა, გაიზარდა რიცხვით, გაამაგრა თავისი რევოლიუციონური სული და ამის შემწეობით სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც ჩაითრია ისპანიის მუშათა კლასი და საზოგადოთ მთელი მშრომელი მასსა.

„შრომის ნაციონალურ კონფედერაციის" გარდა ისპანიაში არსებობს „საყოველთაო მუშათა კავშირი", პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც დგას რეფორმისტულ თვალთსაზრისზე და ის სპანიის სოციალისტური პარტიის განყოფილებას შეადგენს.

რომ უფრო ნათელი შეიქნეს მოვილაპარაკოთ პირველად სოციალისტურ პარტიაზე.

ის დაარსდა 1890 წ. და მეტად სუსტი გავლენით სარგებლობდა ისპანიის პროლეტარიატზე თუ ის კიდევ არსებობდა, ეს მხოლოდ „საყოველთაო მუშათა კავშირის". შემწეობით. მიუხედავათ ამისა ომის წინა წლებში ის გაიზარდა რიცხვით და მისი გავლენა გაძლიერდა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ომმა და შემდეგ კი რუსეთის რევოლიუციამ ნათლად დაგვანახა, თუ როგორც მოჩვენებითი იყო ამ პარტიის ძალა. მისი ზრდა უკანასკნელ წლებში ხდებოდა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების ხარჯზე, რომლებიც თვლიდენ რა თავიანთ თავს დემოკრატებათ, გამოაცხადენ თავიანთი თავი ანტანტის მომხრეებათ; ასეთები იყო უმრავლესობა; ზოგიერთები თითქმის ინტერვენციის მომხრეთაც კი გამოდიოდენ და კავშირს სწყვეტდენ თავიანთ ვითომდა სოციალისტურ წარსულთან.

ომს მოყვა რუსეთის რევოლიუცია, რომელმაც სრულიათ წინააღმდეგი გავლენა მოახდინა ისპანიის სოციალისტურ პარტიაზე. იმ გარემოებამ, რომ პარტიის ბელადებმა გამოაცხადეს თავიანთი თავი სოლიდარულად ანტანტის ქვეყნების დემოკრატებთან, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარტიის ფართო წრეებზე, მაგრამ მისი ერთობა არ შეურყევია; ხოლო, როდესაც პარტიამ გამოაცხადა თავისი თავი ნეიტრალურათ რუსეთის რევოლიუციის მიმართ, და ხანდახან იერიშებიც კი მიქონდა მასზე, მაშინ დაარსდა მემარცხენე ფრაქცია, რომელიც უყენებდა პარტიას სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნილებებს და დაჟინებით მოითხოვდა სოლიდარულად გამოეცხადებია პარტიას თავისი თავი რევოლიუციის საქმისთვის, რომელიც კეთდებოდა რუსეთში.

მაგრამ ამ ამხანაგების ყველა ღონისძიებანი უშედეგოთ ტარდებოდა ცენტრალური კომიტეტის ყოფა-ქცევის შემწეობით და პარტიის უკანასკნელ კონგრესზე, რომელიც მოხდა დეკემბერში 1919 წ. ქ. მადრიდში უარყოფილ იქნა რეზოლიუცია მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ და მიღებულ იქნა ეგრედ წოდებულ „აღმდგენელთა" რეზოლიუცია.

ამ მომენტიდან პარტიაში დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელიც მივიდა იქამდის, რომ „სოციალისტურმა ახალგაზრდობამ", რომელიც აწარმოებდა ბრძოლას მე-3 ინტერნაციონალთან შეერთებისათვის, გადასწყვიტა დასტოვოს პარტია და დაარსა ისპანიის კომუნისტური პარტია, რომელიც მაშინათვე მიემხრო მე-3 ინტერნაციონალს.

მაგრამ სოციალისტური პარტიის ბრძოლა არ დათავებულა: ივნისის დამლევში პარტიის საგანგებო ყრილობაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

რაც შეეხება „საყოველთაო მუშათა კავშირს", ის მიყვება პარტიას; ლაპარაკი პარტიის შესახებ ნიშნავს ლაპარაკს მის შესახებ.

ამ რიგათ, ვუკეთებთ რა ჯამს უნდა ვთქვათ, რომ ნამდვილი რევოლიუციონური ძალები ისპანიაში—„შრომის ნაციონალური კონფედერაცია" და ახალი კომუნისტური პარტია ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა წავიდნენ ბრძოლაში ისპანიის პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის.

ანხელი პესტანა.

### კომუნისტების დევნა გრძელდება.

ამ ბოლო დროს გურიის სამაზრო მილიციის და გვარდიის ნადირობის შედეგმა სხვადასხვა რაიონებში გაბაწვრა და ციხეში გამომწყვდევა არგუნა 14 ამხ. კომუნისტს. ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის ლეგალიზაციამდე, ჩვენი გურული „დეელტიმენურად" განწყობილი ადმინისტრატორები გვეფიცებოდენ, „ჩვენ ნამდვილ იდეურ კომუნისტებს არ ვდევნით და არ ვიჭერთო". ლეგალიზაციის გამოცხადებამ მთელი ჩვენი ძალები სააშკარაოზე გამოიყვანა და როგორც შეფერის ყოველ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ რადიციების მატარებელ პარტიას მთელი თავისი მცხოველს-მყოფელი სიძლიერით შეუდგა იდეურ პარტიულ მუშაობას ლეგალურ ფარგლებში. იგვრძნეს თუ არა იმათ თავიანთი უსუსურობა ჩვენთან იდეურ ბრძოლაში, მიმართეს ყოვლად საზიზღარ, ლაჩრულ მეთოდებს ჩვენი პარტიის ფიზიკურად გასანადგურებლად. პარტიას, რომელიც დიდი რევოლიუციის მთელ ხანაში ღალატობდა და ღალატობს ყოველგან და ყოველთვის დემოკრატიულ და რევოლიუციონურ პრინციპებს, კომუნისტების განადგურებაში, მიზნათ დაისახეს ერთნაირი „დემოკრატიული" მეთოდი, თავდასხმა ზევიდგან ქვევით და ქვეიდან ზევით. აქ მათ საზიზღარ სამსახურს უწევენ მენშევიკური რაიონული კოლექტივები. დღეს ეს იმდენად აშკარა ხდება, რომ ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, დღეს თუ ხვალ ამას ისინი აღიარებენ და ალბათ თავის გასამართლებლად მოიშველებენ რაღაც სოფისტიკურ ლოგიკის არ არსებულ კანონებს.

ეს მათი საქმეა, მხოლოდ ერთი კი აშკარაა, რომ მთელი პასუხისმგებლობის მეტი სიმძიმე მენშევიკების დაბალ ორგანიზაციებს დაატყდება და გურიის მშრომელი რევოლიუციონური დემოკრატია, მათ დღემდის წყვდიადით მოცულს, საზიზღარ ჯაშუშურ საქმიანობას დღის სინათლეზე გამოიტანს და დაამტკიცებს, თუ ვინ იყო და არის რევოლიუციის მოღალატე. ყველა დაჭერილი ამხ-ს წამოუყენეს ისეთი ფანტასტიური სისხ. სამართ. ბრალდებები, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ, თუმცა მათ დაჰკარგეს ყოველივე გაწითლების უნარი, მაგრამ მაინც დაიჩოქეს სინამდვილის წინაშე და შესცვალეს უმეტეს შემთხვევაში მაინც. სჩანს მენშევიკურ პატრიციებს დიდი შრომა დასჭირვებიათ დაბალ თუ მაღალ სალონებში ახალი მოდის ბრალდებების შესათხზველათ და 14 დაჭერილ ჩვენს ამხანაგებში 7 ამ. წამოუყენეს შემდეგი „ბრალდება". მე ოზურ. მაზრ. მილ. უფროსმა დავადგინე დაჭერილი და მოთავსებული იქნეს ქ. საგ. ციხეში როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი და ასლი ამა დადგენილებისა გადაეცეს ბ. შინ. მინისტრსო. აი მთელი სიმძიმე და ღირსება იმ ბრალდებებისა რომლის წყალობით თურმე შეიძლება ჩვენი ციხეებში გამომწყვდევა. ასეთი ბრალდება წამოგვიყენეს შემდეგ ამხანაგებს: კ. გურგენიძეს, ს. ანდღულაძეს, იულ. ცინცაძეს, გ. კობახიძეს, ბ. რუსიძეს, ლომგ. სიორიძეს და სხვებს. ჩვენ არ უარყოფთ იმას' რომ საქ. კომ. პარტიის წევრები ვართ და შეძლებისდაგვარად ვემსახურებით ჩვენს სოციალისტურს და რევოლიუციონურ იდიას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი გულის წყრომა იმ შეუფერებელ ტერმინის შესახებ, რომლის ძალით ალბათ კიდევ შეიძლება ჩვენი ჩაკეტვის გახანგრძლივება.

ჩვენ მოვითხოვთ გვითხრათ გარკვევით ის=რის თქმაც რაღაცა მოსაზრებით ვერ მოგიხერხებიათ. კომუნისტობისთვის არ გვიჭერთ, სისხლის სამართლის საბუთები თქვენ თითონ უარყავით, სთქვით ნუ შეგრცხვებათ რომ მავნე პირი თქვენ გესმის, როგორც კომუნისტური პროპაგანდის გამწევი, როგორც სოციალიზმის იდეის მღაღადებელი. სულ ერთია, „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო" ნათქვამია და ადრე თუ გვიან ამას დაინახავს მშრომელი მასსა და ის პასუხს გაგებინებს ისტორიის სამსჯავროს წინაშე.

ამხ. მონდ. კ. გურგენიძე.

27 ივლისს, გაჩხრეკის შემდეგ დამატუსაღეს. გაჩხრეკის დროს მინახეს მხოლოდ გაზ. „ახალი კომუნისტი" და კარლ მარქსის სურათი. ადმინისტრაციამ მომთხოვა განმეცხადებია ბეჭვდითი საშუალებით, რომ არ ვირიცხები კომუნისტურ პარტიაში და მომავალშიაც არავითარ მონაწილეობას არ მივიღებ კომუნისტების მუშაობაში. მე, რასაკვირველია, უარვყავი ასეთი სამარცხვინო წინადადება და კატეგორიულათ განუცხადე, რომ 14 წელიწადია ვარ კომუნისტი და დავრჩები ასეთს სიკვდილამდისთქვა. დეე იცოდენ, რომ ასეთი საშუალებით უფრო გვიორკეცებენ ენერგიას.

ამხ. პანო.

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.